ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
ცისკრის ქუჩა №6 და მიმდებარე ტერიტორია
(ავლაბრის ბაზარი)



თბილისი

2015, მარტი

ცისკრის ქუჩა ურბანული მემკვიდრეობის დაცვის მკაცრი ზონის ფარგლებში ისან-ავლაბრის ტერიტორიაზე მდებარეობს.

XIX ს. ბოლოსთვის ავლაბრის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ სოფლის ტიპის განაშენიანებას წარმოადგენდა, თუმცა ქვემო ავლაბარი ამ დროისათვის უკვე რეგულარულ დაგეგმარებას ექვემდებარებოდა.

თბილისის ერთ-ერთი ისტორიული ნაწილი (ისან-ავლაბარი) აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.) თითქმის მთლიანად განადგურდა. ავლაბარი XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ის დროს შემოიზღუდა გალავნით.



ავლაბრის დაგეგმარება ძირითადად შუასაუკუნოვან ქუჩათა ქსელს ეყრდნობა, რომელიც თბილისის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, იმთავითვე ერთგვარი რეგულარულობით გამოირჩეოდა. ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის პარალელურად გადიოდა, მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის ქ.) კი მათ ირიბად ჰკვეთდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი ფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი (იხ. რუკები) და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. უბნის არქიტექტურულ-მხატვრული დომინანტი მეტეხის

აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანებაა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის ამ ნაწილის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს.

ამავე დროს ავლაბარს ზოგადად, ქალაქისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ უბანზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. ავლაბრის ურბანულ სახეს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამების კათედრალური ტაძრის დომინანტი, რომელიც მთელი გარემოს განაშენიანების წამყვან ორიენტირად იქცა. ყოველივე ზემოთქმულის გამო მეტად მნიშვნელოვანია უბნის განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.



გონაშვილის (ყოფილი ხოჯევანქის) და ცისკრის ქუჩების მიმდებარედ ყოფილი ავლაბრის ბაზრის ტერიტორია მდებარეობს, რომელიც ამჟამად გაუნაშენიანებელ სივრცეს წარმოადგენს. უშუალოდ ქუჩების გადაკვეთაზე კი მცირე სამსართულიანი ოფისის ნაგებობაა აღმართული, რომელიც ჩაენაცვლა აქ ადრე არსებულ ერთსართულიან უსახურ ნაგებობას.





მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია ისტორიული ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილში ავლაბარში მდებარეობს, კერძოდ, ამ ქუჩათა მიმდებარედ, თითქმის აღარ შემოგვრჩა ისტორიულად ღირებული განაშენიანება. საკვლევი ობიექტის არეალში მხოლოდ ერთი არქიტექტურული ძეგლი ფიქსირდება - ცისკრის ქ. №3.



ამასთან აღსანიშნავია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე უკანასკნელ დრომდე არსებობდა სკოლის ორსართულიანი შენობა, რომლის ნაწილი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტად იყო ფიქსირებული. სკოლა დაიწვა და მისი აღდგენა შეუძლებელია.



XX ს-ის დასაწყისში პროკუდინ-გორსკის მიერ შესრულებულ ექსპერიმენტულ ფერად ფოტომასალაზე კარგად ჩანს, რომ აღნიშნული ტერიტორია განაშენიანებული იყო ერთ-ორსართულიანი ნაგებობებით, რომლეთაგან დღეს მხოლოდ რამდენიმე შემოგვრჩა.





უმეტესობა მათგანი თითქმის მთლიანად სახეცვლილია. გამონაკლისია მხოლოდ ცისკრის ქ. №3 - კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლი, რომელიც საკვლევი ტერიტორიის გადაღმა მდებარეობს.

თუმცა, გონაშვილის ქუჩის დასაწყისში ჯერ კიდევ შემორჩენილი XIXს-ის ნაგებობებით წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორი ხასიათის იყო ეს უბანი გასული საუკუნის შუა წლებამდე.



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უბნისათვის გახდა სამების საკათედრო ტაძრის მონუმენტური შენობა, რომელიც გონაშვილის ქუჩის აღმართის ბოლოს არის აღმართული და მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას ამ ქუჩების არქიტექტურული განაშენიანების მომავალ პერსპექტივაზე.



ავლაბრის ბაზრის ყოფილი ტერიტორია დღეს მაღალი ღობით არის გარშემრტყმული და ცარიელ სივრცეს წარმოადგენს. ამ ურბანული ლაკუნის ამოვსება მნიშვნელოვანია ისტორიული უბნის განაშენაინების სიმკვრივის აღდგენის კუთხით.





აღნიშნული მიწის ნაკვეთის ერთ მხარეს მცირე სკვერის გამწვანებაა შეჭრილი. ტერიტორიის ირგვლივ არსებობს როგორც ძველი ისტორიული განაშენიანება, აგრეთვე XX ს-ს II ნახევრის და უკანასკნელი პერიოდის რამდენიმე ახალი შენობაც, თუმცა, ამ განაშენიანებას ერთიანი არქიტექტურული სახე არ აქვს და საკმაოდ ქაოტურად, უსისტემოდ არის შექმნილი.





აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქეთევან წამებულის პროსპექტის მხრიდან ამ ტერიტორიას ეფარება გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენებული განიერი კორპუსის "ფარდა, რაც შეუძლებელს ხდის ამ ტერიტორიის აღქმას ავლაბრის მოედნიდან.



საკვლევი ტერიტორიის შევსება მნიშვნელოვანია და ამასთან გასათვალისწინებელია ისტორიული უბნის განაშენიანების მორფოლოგია, ანუ

ის, რომ ამ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე საკადასტრო ერთეული არსებობდა. შესაბამისად, მისი შევსება ერთიანი დაუნაწევრებელი მოცულობით არ არის მიზანშეწონილი. ამგვარი ნეგატიური პრეცენდენტია სწორედ ავლაბრის მეტროს უკან არსებული კორპუსი, რომლის ერთიანმა დაუნაწევრებელმა მოცულობამ მთლიანად შთანთქა ძველი ქალაქის ამ მიკროუბნის განაშენიანების ხასიათი.

რეკომენდაციები

ცისკრის ქ. №6 და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება უნდა მოხდეს ძველი ქალაქის ამ უბნის გეგმარებით თავისებურებაზე დაყრდნობით, კერძოდ, არსებულ მიწის ნაკვეთზე უნდა განჩნდეს რამდენიმე დამოუკიდებელი მოცულობა, რომელთაც განსხვავებული მასშტაბი ექნებათ.

აღნიშნული ნაკვეთის ერთ ნაწილში სკვერის გამწვანებული ტერიტორია უნდა შენარჩუნდეს და მას დაემატოს მთელი ტერიტორიის გამწვანების პროექტი.

დამწვარი ნაგებობების ნაცვლად, ფსევდოისტორიული მიმართების არქიტექტურის დაპროექტება სასურველი არ არის. ამ ადგილზე ვფიქრობ, უმჯობესია თანამედროვე არქიტექტურული ხერხებით შექმნილი ფონური ხასიათის განაშენიანების დასმა, რომელიც მასშტაბით და საშენი ფაქტურით შესაბამისი იქნება უბნის განაშენიანებისა.

მნიშვნელოვანია ახალი შენობები ისეთანირად მიესადაგოს ისტორიულ კონტექსტს, რომ არ მოხდეს მკვეთრი კონტრასტული დაპირისპირების შემოტანა ძველ უბანში, არამედ, თანამედროვე არქიტექტურულ ენაზე გადატანილ იქნას თბილისისთვის ტრადიციული სივრცით-არქიტექტურული მახასიათებლები.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი